საქართველოს
მართლმადიდებელ ეკლესიასთან
არსებული ქრისტიანული კვლევის
საერთაშორისო ცენტრი

სამეცნიერო სემინარი

თბილისი / 2012

თბილისი, 0179. ნ. რამიშვილის ქ. №35ა, სად. №1, ბ. №1.
ტელ.: +995 (32) 2447730, +995 (32) 2250243
ელ. ფოსტა: logos.iccr@yahoo.com; ვებ გვერდი: www.logos.org.ge

მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი: „ეროვნული თვითმყოფადობა საკაცობრიო ღირებულებების კონტექსტში“

პრეამბულა

საკაცობრიო ღირებულებების უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ბიბლია. საღმრთო სიბრძნემ საუკუნეებს გაუძლო და დღესაც უდიდეს სამსახურს უწევს ადამიანს. ბიბლიის მიხედვით ჭეშმარიტების შემეცნებისათვის საჭიროა როგორც რაციონალური (ლოგიკური, ცდისეული), ასევე ირაციონალური (ინტუიტიური, მისტიკური) გაგების, წვდომის, ჭვრეტის კულტურა. სარწმუნოებისა და მეცნიერების დაპირისპირება ნიშნავს შემეცნების საზღვრების შევიწროებას, სამყაროს შესახებ არასრული, ცალმხრივი წარმოდგენის შექმნას. ისტორიაში ყოფილა არაერთი მაგალითი როგორც მისტიკური ჭვრეტის წინაშე ლოგიკური აზროვნების როლის დამცირებისა, ასევე ცდისეული მეთოდის აბსოლუტური უპირატესობის აღიარებისა სულიერთან შედარებით. ქართული კულტურა ყოველთვის გამოირჩეოდა გულისა და გონების ჰარმონიული მონაწილეობით შემეცნებისა და შემოქმედების პროცესში. ტაო-კლარჯეთისა და ათონის სკოლის ტრადიციების გამგრძელებელი გელათის აკადემიის უმთავრესი იდეა იყო კავშირი სულიერებისა და ინტელექტისა. ამიტომაც ეწოდა გელათის საღვთისმეტყველო კერას მეორე იერუსალიმი და სხვა ათინა.

წმინდა ილია მართალის მოსწრებული სიტყვით მე-19 საუკუნის წმინდა მღვდელთმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა. საქართველოში ეს ტრადიცია დღესაც ცოცხალია.

საკაცობრიო ღირებულებები ჭეშმარიტების შემეცნების საიმედო ორიენტირია ყველა ერისათვის, მაგრამ ამავე დროს ყოველ ერს მსოფლიო კულტურის საგანძურში შეაქვს თავისი განუმეორებელი ხელწერა, რითაც მდიდრდება და მრავალფეროვანი ხდება საკაცობრიო მემკვიდრეობა.

ვაჟა ფშაველა წერდა: „ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის.“

თვითმყოფადი ეროვნული კულტურების გარეშე ვერ შეიქმნება საკაცობრიო საუნჯე და პირიქით საკაცობრიო ღირებულებების გაუთვალისწინებლად ეროვნული ცნობიერება იქნება შეზღუდული და უნაყოფო.

ამ სულისკვეთებისადმი ერთგულებით ჩვენს თანამედროვეთა შორის გამოირჩევა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საღვთისმეტყველო და შემოქმედებითი მოღვაწეობა. მისი უწმიდესობის აზრით, საქართველოს ეროვნული იდეა გულისხმობს სამი უდიდესი ღირებულების ერთიანობას. ეს ღირებულებებია – ღმერთი, სამშობლო და ადამიანი.

ჩვენი სემინარის უმთავრესი მიზანი სწორედ ის გახლავთ, რომ ჩვენი საზოგადოების წინაშე არსებული უმნიშვნელოვანესი პრობლემები განხილულ იქნას ზემოხსენებული ფასეულობების ფონზე.

სემინარის თემატიკა

- სარწმუნოება და მეცნიერება
- ეროვნული იდეის არსი ცნობიერება
- ეკლესია და პიროვნული თავისუფლება
- ეკლესია და ოჯახი
- ეკლესია და განათლება
- ეკლესია და ახალგაზრდობა
- ეკლესია და კულტურა
- ეკლესია და მასმედია
- ეკლესია და ეკონომიკა
- ეკლესია და სოფლის მეურნეობა
- ეკლესია და სახელმწიფო
- საერთაშორისო ურთიერთობები და გლობალიზაცია